

მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას პუერტო რიკოში ფისკალური კონტროლის საბჭოს წინააღმდეგ ბრძოლისა და სოლიდარობისაკენ

ამ განცხადებით მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებასა და პუერტორიკოულ დიასპორას, რათა გაეცნონ და სოლიდარობა გამოიჩინონ იმ სიტუაციისადმი, რომელსაც ამჟამად განიცდის ჩვენი ქვეყანა. შეგახსენებთ, რომ პუერტო რიკო 1898 წლიდან აშშ-ს კოლონიაა. დაპყრობიდან დღემდე აშშ და პუერტო რიკოს კოლონიური მთავრობა ძალდატანების მეშვეობით ადგენდა ეკონომიკური და პოლიტიკური კონტროლისკენ მიმართულ მთელ რიგ კანონებს (ფორაკერის კანონი 1900; ჯონსის კანონი 1917; ცენზურის კანონი 1947; კანონი 600 1953-ში; მე-7 კანონი 2009-ში), რომლებმაც სრულიად დააკნინეს ამერიკის კონტინენტის ყველაზე ძველი კოლონიის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სინამდვილე. ისინი კვლავ აგრძელებენ ჩვენი რესურსების ძარცვას, ჩვენ კი, სასოწარმკვეთ ეკონომიკურ კრიზისში აღმოვჩნდით, მოსახლეობის ცხოვრების პირობები დიდი სისწრაფით უარესდება: სამედიცინო სამსახურისა და განათლების დონე, ძირითადი საკვების გაძვირება, მზრდადი უმუშევრობა და დანაშაულებრივი მაჩვენებლების ზრდა ნათლად ასახავს სავალალო მდგომარეობას. ემიგრაციამ არნახულ რიცხვებს მიაღწია. ამავდროულად კი, უცხოელები ჩენს ქვეყანას სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ ბიზნესისა და დასვენებისათვის. ამჟამად პუერტო რიკო კარიბის საბერძნეთად გადაიქცა - „უოლ სტრიტის“ ფინანსური კაპიტალის ვალმა 73,000 მილიარდს მიაღწია. ფისკალური კონტროლის საბჭოს, რომელიც „პროექტი 5278“-ს პირმოა, განზრახული აქვს ქვეყნის სისხლისაგან დაეცლა კრედიტორების (სვავეების) სასარგებლოდ. საბჭოს კონტროლის ძალაში შესვლის შემთხვევაში, „რბილი სახელმწიფო გადატრიალებების“ მსგავსად, რომელსაც შეერთებული შტატების იმპერიალიზმი იცავს, მოსალოდნელია შემდეგი:

ფისკალური კონტროლის საბჭო (ფკს) 12 პუნქტში:

1. ფკს-ს შემადგენელი 7 წევრი არჩეული იქნება მხოლოდდამხოლოდ ფედერალური მთავრობიდან. მათგან მხოლოდ ერთს მოეთხოვება პუერტო რიკოში ცხოვრება ან ბიზნესის ქონა. **არც პუერტო რიკოს გუბერნატორსა და არც ადგილობრივ საკანონმდებლო მთავრობას ექნებათ რაიმე ძალაუფლება ფკს-ში ან მის მიღებულ გადაწყვეტილებებზე.**
2. ფკს-ს ხანგრძლიობა განსაზღვრულია **მინიმუმ 4 წლით**. მაქსიმალური პერიოდი დადგენილი არ არის.
3. ფკს **გაკონტროლებს ქვეყნის ბიუჯეტსა და კანონებს**.
4. შეეძლება უკვე დამტკიცებული კანონებისათვის ნებისმიერ მომენტში **ძალის წართმევა**.
5. შეეძლება აქტივების (მათ შორის, ქონება, საკუთრება, შენობები, საზოგადოებრივი კორპორაციები) **გაყიდვა**.
6. ფისკალური ზემოქმედების კრიტერიუმის გამოყენებით **გადაწყვეტს რომელი კანონი დაამტკიცოს და რომელი არა, იმისაგან დამოუკიდებლად, თუკი ამით ზიანი მიადგება ერის ცხოვრების დონეს, ჯანმრთელობასა და სოციალურსა და ბუნებრივ რესურსებს**.
7. ექნება **სამუშაო ადგილების გაყინვის, შემცირებისა და თანამშრომლების გათავისუფლების უფლება**.
8. ფკს **უარყოფს ზედმეტი სამუშაო საათების ანაზღაურების შესახებ კანონებსა და ღონისძიებებს**.
9. **\$4.25-ის ოდენობის მინიმალური ანაზღაურების** დადგენით 20-25 წლის ასაკის მოსახლეობას ეკონომიკური ექსპლოატაციის პირობებს შეუქმნის.
10. **გააუქმებს გაფიცვისა და უმუშევრობის უფლებებს**.
11. არ შეიცავს ეკონომიკური წახალისების ღონისძიებებს, არ იცავს თანასწორობას Medicare-სა და სხვა ფედერალურ ფონდებში.
12. მხოლოდდამხოლოდ დაიცავს კრედიტორების (სვავეების) ეკონომიკურ ინტერესებს.

მოვუწოდებთ პუერტორიკოულ დიასპორებს მთელი მსოფლიოს ყველა კუთხეში, სოციალურ მოძრაობებსა და საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომ სოლიდარობა

გამოიჩინონ და გაერთიანდნენ ფისკალური კონტროლის საბჭოს წინააღმდეგ. როგორ? შედი <https://juntecontralajunta.wordpress.com>-ზე და გაეცანი! მიიღე ინფორმაცია და სააგიტაციო ინსტრუმენტები. გააერთიანე შენი უბანი და თემი საინფორმაციო გასაუბრების, ბროშურების, პიკეტებისა და გამოსვლების სახით ფისკალური კონტროლის საბჭოს წინააღმდეგ! შევექმნათ წინააღმდეგობა!

ძირს ფისკალური კონტროლის საბჭო!
ძირს კოლონიალიზმი!
ძირს იმპერიალიზმი!

კონტაქტი:

Junte contra la Junta (Puerto Rico)
<https://juntecontralajunta.wordpress.com>
lageteantesqueladeuda@gmail.com
<https://www.facebook.com/juntecontralajunta/>

Comité Boricua en la Diaspora – ComBo- (New York, USA)
[facebook.com/comiteboricua](https://www.facebook.com/comiteboricua)
comiteboricua@gmail.com

decolonizepr@gmail.com (Chicago, USA)